ენათმეცნიერება Linguistic

გამეორება, როგორც ექსპრესიულობის გამოხატვის სტილისტური ფიგურა კრისტა ვოლფის მოთხრობაში "რა რჩება"

თეონა ნიჟარაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
e-mail: nisharadseteona@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.08
SJIF 2026: 8.679

ნაშრომში განხილულია გამეორება, როგორც ექსპრესიულობის გამოხატვის მნიშვნელოვანი სტილისტური ფიგურა კრისტა ვოლფის მოთხრობაში „რაც რჩება“ (Was bleibt). კვლევის მიზანია ნაწარმოებში გამოყენებული გამეორების სხვადასხვა ფორმის გამოვლენა, მათი სტრუქტურული თავისებურებებისა და ფუნქციური დატვირთვის განსაზღვრა. კვლევა ეფუძნება ტექსტის ლექსიკურ, მორფოლოგიურ-სიტყვათწარმოებით და სინტაქსურ დონეებზე განხორციელებულ სტილისტურ ანალიზს.

ნაშრომში გაანალიზებულია გამეორების ისეთი ფორმები, როგორიცაა ეპიცეუქსისი, ანადიპლოზისი, კიკლოსი, ანაფორა, ეპიფორა, პოლიპტოტონი, figura etymologica და სინტაქსური პარალელიზმი, მათ შორის იზოკოლონი. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული სტილისტური ფიგურები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც ფორმალური სტრუქტურით, ისე ფუნქციური დატვირთვით, თუმცა მათ აერთიანებთ ტექსტის ექსპრესიულობის გაძლიერებისა და მკითხველის ყურადღების კონცენტრირების ფუნქცია. გამეორების საშუალებით ავტორი ხაზს უსვამს მნიშვნელოვან სიტყვებსა და აზრობრივ ერთეულებს, აძლიერებს ემოციურ ინტენსივობას, ქმნის ტექსტის რიტმულ ორგანიზაციას და უზრუნველყოფს მის შინაგან კოჰეზიას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გამეორების ფსიქოლოგიურ ფუნქციას. ნაწარმოებში გამეორებითი სტრუქტურები მჭიდროდ უკავშირდება პერსონაჟის შინაგან მდგომარეობას და გამოხატავს შიშს, დაძაბულობას, გაუცხოებას, დაურწმუნებლობასა და თვითრეფლექსიას. ერთი და იმავე სიტყვების, ფრაზებისა და სინტაქსური კონსტრუქციების გამეორება ხშირად ქმნის მონოტონურ, წრიულ ან დაძაბულ რიტმს, რომელიც პერსონაჟის ფსიქოლოგიურ გამოცდილებას ენობრივად ასახავს. ამდენად, გამეორება ქრისტა ვოლფის ინდივიდუალური სტილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად გვევლინება და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნაწარმოების ემოციური და მხატვრული მთლიანობის შექმნაში.

საკვანძო სიტყვები: გამეორება, ექსპრესიულობა, კრისტა ვოლფი, მოთხრობა „რაც რჩება“ (*Was bleibt*).

კრისტა ვოლფი გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისი შემოქმედება არაერთხელ გამხდარა როგორც გერმანელი, ისე უცხოელი ლიტერატურათმცოდნეებისა და ენათმეცნიერების კვლევის საგანი. მწერლის შემოქმედებისადმი არსებულ ფართო სამეცნიერო ინტერესზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1995 წელს გამოცემულ მეორად ლიტერატურულ ბიბლიოგრაფიაში მის შესახებ 3565 ნაშრომია შეტანილი [შტეფანი, 1991:7].

მიუხედავად კრისტა ვოლფის შემოქმედების შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი კვლევისა, მისი მხატვრული ენისა და სტილისტური თავისებურებების ზოგიერთი ასპექტი ჯერ კიდევ საჭიროებს დამატებით შესწავლას. წინამდებარე სტატიის მიზანია გამეორების, როგორც ექსპრესიულობის გამოხატვის სტილისტური ფიგურის, ფუნქციისა და თავისებურებების ანალიზი კრისტა ვოლფის მოთხრობაში „რაც რჩება“.

მოთხრობაში ასახულია ადამიანის შინაგანი მდგომარეობა მუდმივი დაკვირვებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში. შესაბამისად, ტექსტის ენობრივი სტრუქტურა მჭიდროდ უკავშირდება პერსონაჟის შინაგან სამყაროს. შიში, გაუცხოება, დაძაბულობა, დაურწმუნებლობა და თვითრეფლექსია არა მხოლოდ სიუჟეტურ დონეზე, არამედ ტექსტის სინტაქსურ და ლექსიკურ სტრუქტურაშიც ვლინდება.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გამეორება. იგი კრისტა ვოლფის ტექსტში მხოლოდ ერთი და იმავე სიტყვის ან კონსტრუქციის მექანიკურ გამეორებას არ წარმოადგენს. გამეორება სხვადასხვა ფორმითა და ფუნქციით გვხვდება და ხელს უწყობს როგორც ცალკეული აზრის გამოკვეთას, ისე ტექსტის რიტმული და ემოციური სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ გამეორება, ისევე როგორც სხვა სტილისტური ფიგურები, კრისტა ვოლფის ინდივიდუალური სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. მატი ლუუკაინენის მიხედვით, „Wie auch die anderen Hinzufügungsfigurationen dient besonders die Wiederholung der Hervorhebung und Verlebendigung sowie der Gedankenverflechtung und Kohärenz im Text“ [ლუუკაინენი, 1997: 231]. ამგვარად, გამეორების ძირითადი ფუნქციები დაკავშირებულია აზრის ხაზგასმასთან, ტექსტის გაცოცხლებასთან, ცალკეულ აზრთა ურთიერთდაკავშირებასა და ტექსტის კოჰეზიის უზრუნველყოფასთან.

გარდა ამისა, გამეორება ხელს უწყობს ტექსტის რიტმულ სტრუქტურირებას და კრისტა ვოლფის თხრობას განსაკუთრებულ მუსიკალურ ჟღერადობას ანიჭებს.

გამეორების კვლევისას უნდა განვასხვაოთ, თუ რომელ დონეებზე გვევლინება ის. მორფემატულ-ლექსიკურ დონეზე საქმე გვაქვს სიტყვათა ან სიტყვათა ჯგუფების გამეორებასთან, ხოლო სინტაქსურ დონეზე მეორდება წინადადების ან მისი ცალკეული ნაწილების სტრუქტურა. ორივე შემთხვევაში გამეორებით ტექსტის ექსპრესიულობა იზრდება.

სიტყვათა გამეორების ერთ-ერთი ყველაზე ექსპრესიული ფორმაა ეპიცეუქსისი (Epizeuxis). იგი გულისხმობს ერთი და იმავე სიტყვის ან ფრაზის ზედიზედ, უშუალოდ გამეორებას, მათ შორის სხვა სიტყვების ჩართვის გარეშე. ეპიცეუქსისის ძირითადი ფუნქციაა ემოციური ფონის გაძლიერება, სათქმელის ხაზგასმა და მკითხველის ყურადღების კონცენტრირება. ლუუკაინენიც აღნიშნავს, რომ ეპიცეუქსისი გამოხატვის შთამბეჭდაობასა და ინტენსივობას ზრდის და ზოგჯერ ერთფეროვნების, უარყოფის, შეუპოვრობისა და დაჟინებულობის განცდას ქმნის [ლუუკაინენი, 1997: 234].

კრისტა ვოლფი ეპიცეუქსისს იშვიათად იყენებს მოთხრობაში. ამის ნათელი მაგალითია შემდეგი წინადადება: „Die famose innere Stimme schwieg, schwieg, schwieg“ [ვოლფი, 2007: 53].

ზმნის *schwieg* სამჯერ გამეორება არა მხოლოდ ფაქტს აღნიშნავს, არამედ ამ დუმილის ხანგრძლივობასა და ემოციურ სიმძაფრესაც აძლიერებს. ერთჯერადი *schwieg* ნეიტრალურ ინფორმაციას გვაწვდის, ხოლო სამმაგი გამეორება ქმნის დაძაბულობისა და ხანგრძლივი დუმილის შთაბეჭდილებას.

გამეორების შემდეგი მნიშვნელოვანი ფორმაა ანადიპლოზისი (Anadiplosis), რომლის დროსაც ერთი წინადადების ან სინტაქსური ერთეულის დასასრულს გამოყენებული სიტყვა ან ფრაზა მომდევნო წინადადების დასაწყისში მეორდება [5]. ამგვარი სტრუქტურა წინადადებებს ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს და ტექსტის აზრობრივ უწყვეტობას აძლიერებს.

ანადიპლოზისის საშუალებით გამეორება ერთდროულად ასრულებს როგორც ექსპრესიულ, ისე ტექსტობრივ-კოჰეზიურ ფუნქციას. ერთი წინადადების დასასრული მომდევნო წინადადების საწყის წერტილად იქცევა და ამგვარად ტექსტში აზრის მოძრაობა უფრო მკაფიო ხდება.

კრისტა ვოლფი ხშირად იყენებს ანადიპლოზისს, განსაკუთრებით დიალოგურ და ყოველდღიურ მეტყველებაში: „Die Kollegin K. stand bereit. Ja leider. Leider sei es nötig gewesen, polizeilichen Schutz zu nehmen“ [ვოლფი, 2007: 86].

აქ *leider*-ის გამეორება არა მხოლოდ აზრობრივ კავშირს უზრუნველყოფს, არამედ ემოციურ დატვირთვასაც ზრდის.

ანადიპლოზისის შემდეგი მაგალითია: „Auf welche Weise wird man Gedanken los. Indem man sie denkt. Denkt und wieder denkt. Durchdenkt zu Ende denkt“ [ვოლფი, 2007: 60].

denkt-ის გამეორება ხაზს უსვამს აზროვნების უწყვეტ პროცესს. აქ გამეორება შინაარსობრივადაც მნიშვნელოვანია: პერსონაჟი თითქოს ცდილობს ფიქრისგან გათავისუფლდეს სწორედ ფიქრის საშუალებით.

თუ ანადიპლოზისის შემთხვევაში გამეორება ორი მომიჯნავე წინადადების დასასრულსა და დასაწყისს აკავშირებს, კიკლოსში (Kyklos) მას განსხვავებული, ჩარჩოსებური ფორმა აქვს. კიკლოსი ისეთი სტრუქტურაა, როდესაც წინადადება ან ფრაზა ერთი და იმავე სიტყვით ან სიტყვათა ჯგუფით იწყება და მთავრდება. სწორედ ამიტომ მას ხშირად „წრიულ“ ან „რგოლურ“ გამეორებადაც მოიხსენიებენ [ლუუკაინენი, 1997: 238].

კრისტა ვოლფი კიკლოსს შედარებით იშვიათად იყენებს, თუმცა მისი გამოყენება ტექსტში განსაკუთრებულ სტილისტურ ეფექტს ქმნის: „Aber was soll ich denn sonst machen, fragte ich mich, während ich den Briefkasten im Hausflur aufschloß, Post und Zeitungen herausnahm, was soll ich denn sonst machen“ [ვოლფი, 2007: 46].

გამეორებული კითხვა ტექსტის დასაწყისსა და დასასრულს ერთგვაროვან ჩარჩოს ქმნის. ამასთან, წრიული სტრუქტურა პერსონაჟის შინაგანი მდგომარეობის ჩაკეტილობასაც გამოხატავს — კითხვა დასაწყისში ჩნდება და პასუხის გარეშე კვლავ იმავე ფორმით ბრუნდება.

გამეორების უფრო ფართო ტექსტობრივ ფორმებს წარმოადგენს ანაფორა და ეპიფორა. ანაფორად ითვლება უშუალოდ მომდევნო წინადადებების ან აბზაცების დასაწყისში ერთი და იმავე სიტყვის, ფრაზის ან სტრუქტურის გამეორება [6], ეპიფორა კი გულისხმობს გამეორებას წინადადებების ან ფრაზების დასასრულში [7].

კრისტა ვოლფი „რაც რჩება“-ში განსაკუთრებით ხშირად მიმართავს ანაფორას. ამის ერთ-ერთი მაგალითია: „Folgte der Name meines Freundes. Folgte die Mitschrift unseres Gesprächs ...“ [ვოლფი, 2007: 43].

ზმნის *folgte*-ს გამეორება ორ წინადადებას ერთ სტრუქტურულ მოდელში აქცევს. შედეგად, მოვლენათა თანმიმდევრობა უფრო მკაფიო ხდება და ტექსტი რიტმულ ორგანიზებულობას იძენს.

ანაფორული სტრუქტურა გვხვდება შემდეგ მაგალითშიც:„Fremd bin ich eingezogen. Fremd ziehe ich wieder aus“ [ვოლფი, 2007: 91].

აქ *Fremd*-ის გამეორება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს. ერთი და იგივე სიტყვა აერთიანებს ორ სხვადასხვა დროით მდგომარეობას და ხაზს უსვამს პერსონაჟის გაუცხოების მუდმივობას.

ანაფორულ გამეორებას მიეკუთვნება შემდეგი მაგალითიც: „Nicht denken, nicht arbeiten. Nichts herausfinden, nichts wissen wollen“ [ვოლფი, 2007: 59]

აქ უარყოფითი კონსტრუქციების გამეორება ქმნის შეკუმშულ, რიტმულად ორგანიზებულ მეტყველებას. მოკლე სტრუქტურები ერთმანეთის მიყოლებით აძლიერებს აკრძალვისა და შინაგანი წინააღმდეგობის განცდას.

კრისტა ვოლფი გამეორების ექსპრესიულ შესაძლებლობებს იყენებს არა მხოლოდ დამოუკიდებელი სიტყვების, არამედ კავშირებისა და წინდებულების გამეორების დროსაც. მაგალითად: „Aus einem Ort war die Stadt zu einem Nicht-Ort geworden, ohne Geschichte, ohne Vision, ohne Zauber, verdorben durch Gier, Macht und Gewalt“ [ვოლფი, 2007: 31]

მოცემულ მაგალითში გამოყენებული წინდებული ohne სამჯერ მეორდება ერთმანეთის მომდევნო სინტაქსური ერთეულების დასაწყისში. ეს გამეორება ხაზს უსვამს ქალაქის სულიერ და კულტურულ სიცარიელეს.

ეპიფორა „რაც რჩება“-ში შედარებით იშვიათად გვხვდება. მისი ერთ-ერთი მაგალითია შემდეგი მონაკვეთი: „Wenn er sich dann fragte, was er über dieses Objekt jetzt wusste, was er vorher nicht gewußt hatte, so mußte er sich ehrlicherweise sagen: nichts. Und wenn er sich weiter fragen würde, was er erreichen würde, was er erreicht hätte, würde er sich abermals sagen müssen: nichts.“ [ვოლფი, 2007: 44]

აქ *nichts*-ის გამეორება წინადადებების დასასრულში განსაკუთრებით ძლიერ ეფექტს ქმნის. იგი ხაზს უსვამს უშედეგობისა და სიცარიელის განცდას. ამგვარად, ეპიფორა არა მხოლოდ ტექსტის სტრუქტურულ ერთიანობას უზრუნველყოფს, არამედ მნიშვნელობის გაძლიერებასაც ემსახურება.

ზემოთ განხილული ფორმებისგან განსხვავებული ტიპის გამეორებას წარმოადგენს პოლიპტოტონი (Polyptoton) და figura etymologica. პოლიპტოტონის შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ფლექსიური, ანუ გრამატიკული ფორმით მეორდება [8]. Figura etymologica-ს შემთხვევაში კი ერთმანეთს უკავშირდება ერთი და იმავე ფუძის მქონე, მაგრამ სიტყვათწარმოებით განსხვავებული სიტყვები; ხშირად ეს არის ზმნა და მისგან ნაწარმოები არსებითი სახელი [9].

პოლიპტოტონის ნათელ მაგალითს წარმოადგენს შემდეგი მონაკვეთი მოთხრობიდან:

„Ruhig auf dem Rücken liegen, die Augen schließen, atmen. Atmen: Ich atme.“ [ვოლფი, 2007: 69]

ამ მაგალითში atmen – Atmen – atme ერთი ფუძის გამეორება სხვადასხვა გრამატიკულ ფუნქციაშია წარმოდგენილი. მისი პოლიპტოტონად მიჩნევა atmen/atme წყვილის საფუძველზეა შესაძლებელი.

მსგავსი მაგალითია: „Was ist mit uns, hörte ich mich denken, mehrmals untereinander, sonst fehlten mir die Worte, sie fehlen mir bis heute“ [ვოლფი, 2007: 69].

აქ fehlten – fehlen ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა დროითი ფორმაა. ეს ფორმის ცვლილება წარსულსა და აწმყოს შორის კავშირს ქმნის.

პოლიპტოტონის შემდეგი მაგალითი ტექსტის ექსპრესიულობას მნიშვნელოვნად აძლიერებს:„Viele Wochen lang lief ich durch namenlose Straßen einer namenlosen Stadt“ [ვოლფი, 2007: 29].

აქ ზედსართავი სახელის *namenlose* გამეორება ხაზს უსვამს სივრცის გაუცხოებულ და ანონიმურ ხასიათს. ის ფაქტი, რომ ქალაქსა და ქუჩებს სახელი არ აქვთ, შეიძლება მივიჩნიოთ პერსონაჟის შინაგანი გაუცხოების სიმბოლურ გამოხატულებად.

გამეორების განხილვა სრულყოფილი ვერ იქნება, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ სინტაქსურ დონეზე მის გამოვლინებას. ამ დონეზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სინტაქსური პარალელიზმი, რომლის ერთ-ერთ სახესაც იზოკოლონი წარმოადგენს.

იზოკოლონი სინტაქსური პარალელიზმის ისეთი სახეა, რომლის დროსაც ერთმანეთის გვერდით მდგომი წინადადების ნაწილები ან ფრაზები დაახლოებით თანაბარი სიგრძისა და მსგავსი აგებულებისაა [10]. უფრო ფართო ცნება — პარალელიზმი — გულისხმობს სინტაქსურად ან სემანტიკურ-სინტაქსურად მსგავსი კონსტრუქციების გამეორებას [11]. მსგავსი კონსტრუქციები ტექსტს რიტმს და მუსიკალურობას ანიჭებს და ხშირად მათში გამოხატულ აზრობრივ ურთიერთმიმართებასაც უსვამს ხაზს.

კრისტა ვოლფი პარალელიზმს ხშირად იყენებს სხვა სტილისტურ ფიგურებთან კომბინაციაში. ამის მაგალითია: „Dazu schwieg Frau K., und sah auf den Schreibtisch. Da schwieg ich auch und sah auf den Schreibtisch“ [ვოლფი, 2007: 77].

ორივე წინადადება თითქმის იდენტური სინტაქსური მოდელითაა აგებული. სინტაქსური პარალელიზმი აქ არა მხოლოდ რიტმულ, არამედ შინაარსობრივ ფუნქციასაც ასრულებს.

შემდეგ მაგალითში კი უარყოფითი კონსტრუქციის გამეორება და სინტაქსური პარალელიზმი განსაკუთრებულ რიტმს ქმნის: „Kein fremder Mensch, kein fremder Blick, vielleicht nicht einmal ein fremdes Ohr folgte mir in diesem Raum“ [ვოლფი, 2007: 59].

გამეორებული kein fremder კონსტრუქცია წინადადების ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებს და ამავდროულად აძლიერებს პერსონაჟის სურვილს, თავი დააღწიოს უცხო მზერას, კონტროლსა და დაკვირვებას.

ამგვარად, სინტაქსური გამეორება კრისტა ვოლფის ტექსტში ისეთივე მნიშვნელოვანი ექსპრესიული საშუალებაა, როგორც ლექსიკური გამეორება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აქ ექსპრესიული ეფექტი ერთი და იმავე სიტყვის გამეორებით კი არა, სინტაქსური მოდელის გამეორებით მიიღწევა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კრისტა ვოლფის მოთხრობაში „რაც რჩება“ გამეორება მრავალფუნქციურ მხატვრულ ხერხად გვევლინება, რომელიც მონაწილეობს როგორც მნიშვნელობის შექმნაში, ისე ემოციური ინტენსივობისა და ტექსტის რიტმული სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ის ერთდროულად ასრულებს ექსპრესიულ, რიტმულ, კოჰეზიურ და ფსიქოლოგიურ ფუნქციებს. იგი არა მხოლოდ ხაზს უსვამს ცალკეულ სიტყვებსა და აზრებს, არამედ მონაწილეობს პერსონაჟის შინაგანი სამყაროს შექმნაში. შესაბამისად, გამეორება ქრისტა ვოლფის ინდივიდუალური სტილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ.

ლიტერატურა:

1. Fleischer, W; Michel (1993): Stilistik der deutschen Gegenwartssprache. Frankfurt am Main, Berlin, Bern, New York, Paris, Wien.

2. Luukkainen, M. (1997): These, Antithese, Synthese: zu Wandel und Beständigkeit des Sprachstils im Werk von Christa Wolf 1961-1996. Buske Verlag, Tübingen.

3. Stephan, A. (1991): Christa Wolf. Stuttgart.

4. Wolf, Ch. (2007): Was bleibt. Frankfurt am Main.

5. Dudenredaktion: „Anadiplose“. Duden online. https://www.duden.de/rechtschreibung/Anadiplosis (abgerufen am: 08.11.2026).

6. Dudenredaktion: „Anapher“. Duden online. https://www.duden.de/rechtschreibung/Anapher (abgerufen am: 08.11.2026).

7. DWDS: „Epiphora“. Digitales Wörterbuch der deutschen Sprache. https://www.dwds.de/wb/Epiphora (abgerufen am: 08.11.2026).

8. Dudenredaktion: „Polyptoton“. Duden online. https://www.duden.de/rechtschreibung/Polyptoton (abgerufen am: 08.11.2026).

9. Dudenredaktion: „Figura etymologica“. Duden online. https://www.duden.de/rechtschreibung/Figura_etymologica (abgerufen am: 08.11.2026).

10. Dudenredaktion: „Isokolon“. Duden online. https://www.duden.de/rechtschreibung/Isokolon (abgerufen am: 08.11.2026).11. Dudenredaktion: „Parallelismus“. Duden online. https://www.duden.de/rechtschreibung/Parallelismus (abgerufen am: 08.11.2026).

Teona Nijaradze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
e-mail: nisharadseteona@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.08
SJIF 2026: 8.679

Repetition as a Stylistic Device of Expressiveness in Christa Wolf's Novella *What Remains*

Abstract

The paper examines repetition as an important stylistic device of expressiveness in Christa Wolf's novella *Was bleibt* (*What Remains*). The aim of the study is to identify the various forms of repetition used in the work and to determine their structural characteristics and functional significance. The research is based on a stylistic analysis of the text at the lexical, morphological-derivational, and syntactic levels.

The paper analyzes such forms of repetition as epizeuxis, anadiplosis, kyklos, anaphora, epiphora, polyptoton, figura etymologica, and syntactic parallelism, including isocolon. It demonstrates that these stylistic devices differ in their formal structure and functional significance, while sharing the function of intensifying expressiveness and focusing the reader's attention. Through repetition, the author emphasizes important words and semantic units, intensifies emotional expression, creates the rhythmic organization of the text, and contributes to its internal cohesion.

Particular attention is devoted to the psychological function of repetition. In the novella, repetitive structures are closely connected with the protagonist's inner state and express fear, tension, alienation, uncertainty, and self-reflection. The repetition of the same words, phrases, and syntactic constructions often creates a monotonous, circular, or tense rhythm that linguistically reflects the protagonist's psychological experience. Thus, repetition represents one of the important characteristics of Christa Wolf's individual style and plays a significant role in creating the emotional and artistic integrity of the work.

რეცენზენტი: პროფესორი ალექსანდრე კარტოზია